

ივანე ჯავახიშვილი-პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი

ფსევდონიმი ლილიენ 12345

დიდი ქართველი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის სახელს ექვთიმე და გიორგი ათონელების, გრიგოლ ხანძთელისა და სხვა დიდი მამების დარად მიაგებდა პატივს და ბრძანებდა, რომ ივანე „ახალ საქართველოში იგივე მოვლენა იყო, როგორც იყვნენ ის დიდნი მამანი ძველ საქართველოში“

მართლაც, განუზომელია დამსახურება ერის წინაშე ივანე ჯავახიშვილსა, მათგან უმნიშვნელოვანესი კი პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება გახლავთ.

ვთვლი, რომ დღეს ჩემმა თაობამ უფრო მეტი რამ უნდა იცოდეს ამ უდიდესი მოღვაწის შესახებ, დიახ, დღეს, როდესაც გამოკვეთილია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია, როდესაც ქვეყანა უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, რადიკალური ცვლილებებია განათლების სფეროშიც, ინტერესმოკლებული არ იქნება წინაპართა ისტორიული გამოცდილების გაზიარება, ეროვნულის გათავისება და მასთან ახლის შერწყმა.

როგორ მოახერხეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა საქართველოსთვის ესოდენ მძიმე ვითარებაში ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ოცნების (ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად ერის სულიერი გადარჩენა) რეალობად ქცევა? რა ძალისხმევა დასჭირდათ მათ ავტორიტარიზმის ტყვეობის პირობებში განათლების ეს უდიდესი კერა შეექმნათ? რა წინაპირობა უძღვოდა უნივერსიტეტის გახსნას?

მოცემულ ესეში შევეცდებით, მოკლედ გამოვკვეთოთ აღნიშნული საკითხები და შემოგთავაზოთ ჩვენიული დასკვნა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ცნობილი გახდა საქართველოს ორიენტაცია. ჩვენმა ქვეყანამ, სადაც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანიდან არსებობდა განათლების კერები, მოახერხა ზიარებოდა ევროპულსა და რუსულ კულტურას. ამავდროულად ამ სფეროში ცარიზმის უარყოფითმა გავლენამაც იჩინა თავი. გადასახლეს ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი პეტერბურგსა და მოსკოვში. სწორედ მათ წრეში გაძლიერდა სურვილი უმაღლესი სკოლის გახსნისა. შემდგომ სამოციანელთა ძლიერი თაობა, ილიას თაოსნობით, შეეცადა იდეის სისრულეში მოყვანას ,მაგრამ მმართველმა ძალამ ქვეყანაში რევოლუციური აღმავლობის შიშით ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზდილმა ივანე ჯავახიშვილმა, უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, იტვირთა დიდი ილიას საქმის გაგრძელება. კვლავ გააქტიურდნენ საწინააღმდეგო იდეოლოგიის წარმომადგენლები, მათ შორის ჩვენი თანამემამულენიც...

რუსეთში პოლიტიკური ვითარების რადიკალურად შეცვლის შემდგომ საქართველოში 1918 წელს პირველი ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. ქვეყანას საზღვარგარეთიდან დაუბრუნდნენ დიდი მეცნიერები. განათლებას მყარი საფუძველი ჩაეყარა. უნივერსიტეტი იქცა სამეცნიერო ტაძრად.

მიუხედავად თავს მოხვეული იდეოლოგიისა თუ ტოტალიტარული რეჟიმებისა, სასწავლებელმა დღემდე შეინარჩუნა ეროვნული ცნობიერება. ამიტომაც მაქვს უდიდესი სურვილი, გავხდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა ტომი პირველი

ე. ლილუაშვილის დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი - პუბლიცისტური ნარკვევები

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის 135 წლისთავისადმი

საძიებო სისტემა google.ge

ინტერნეტსაიტი ka. Wikipedia.org